ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2493908

ნომერი: AR1386094

თარიღი : 14.03.2016

გაცემის თარიღი : 21.03.2016

გაცნობის თარიღი : 21.03.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი აკ. წერეთელი , N 49-51-51ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- როზა ოსადჩუკი პ/ნ 01007016919
- თბილისი აკ.წერეთლის გამზ. N 47

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1386094 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით #AR1383427 განაცხადით მოთხოვნილი საკითხის დადებითად გადაწყვეტას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2016 წლის 03 მარტის #AR1383427 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართა

მოქალაქე ქართლოს მაისურაძემ და მოითხოვა ქ. თბილისში, აკ. წერეთლის გამზ. #49-51-51ა-ში #01.13.06.010.020.01.02.013 საკადასტრო ერთეულზე ღიობების მოწყობის ნებართვა. ხოლო სამსახურის #2491202 გადაწყვეტილებით გაიცა დადასტურება ქ. თბილისში, სექტორი – დიდუბე, აკ. წერეთლის გამზირი #49–51–51ა, მოქ. ნინო ჭყონიას კუთვნილი ფართის ფასადზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების (ღიობების მოწყობა/რეკონსტრუქცია) განხორციელების შესაძლებლობაზე.

სამსახურის მიერ ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტები გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მისი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა #7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თუ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

ასევე გაცნობებთ, რომ სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური 2012 წლიდან დოკუმენტბრუნვას აწარმოებს ელექტრონული სახით. სამსახურის მიერ 2012-2016 წლების ინფორმაცია გამოტანილია ვებ–გვერდზე (www.tas.ge) და არის საჯარო. ნებისმიერი დოკუმენტი შეგიძლიათ იხილოთ ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ობიექტების ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული ობიექტის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.